ხელშეკრულება N 68

16 დეკემბერი 2019 წელი

ერთი მხრივ ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრი,დედოფლისწყარო, კოსტავას ქ. N 3, ს/ნ 428519748 (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის აკაკი ნატროშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს შპს ტექნო სერვისი 1 ს/კ 228546507 დედოფლისწყარო ხორნაბუჯის ქ. N 17 (შემდგომში მიმწოდებელი) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]” ქვეპუნქტის საფუძველზე , დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ფიტნეს დარბაზში (დედოფლისწყარო, კოსტავას ქ. N 3)სარემონტო სამუშაოების შესრულება.

CPV 45212290.

2. ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 4990 (ოთხიათას ცხრაას ოთხმოცდაათ) .....ლარს.

3.ანგარიშსწორების ფორმები და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.

4.მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ცენტრის დირექტორის მოადგილე გელა ნასრაშვილი.

4.2 მომსახურება ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1 მომსახურება მიწოდებული იქნება დედოფლისწყაროში კოსტავას . N 3

5.2 მომსახურების მიწოდება განხორციელდება 2019 წლის 31 დეკემბრამდე.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია გასწიოს მომსახურება სათანადო ხარისხით.

7.პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის

7.1 .პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის შეადგენს ხელშეკრულების სავარაუდო ჯამური ღირებულების 3% ს.

7.2პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის

398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა . ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3 გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვაში თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია 10% -ზე მეტი ოდენობით.

8.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5 მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8.7 ხელშეკრულება შედგენილია 3(სამი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა მიმწოდებელს, ორი შემსყიდველს.

9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე გამოყოფილი კოორდინატორი- ცენტრის დირექტორის მოადგილე გელა ნასრაშვილი.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავის

გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრამდე.

შემსყიდველი: ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტეს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრი, დედოფლისწყარო, კოსტავას N 3, ს/ნ 428519748	შპს ტექნოსერვისი 1 228546507 დედოფლისწყარო ხორნაბუჯის N17 ბანკის კოდი:ს.ს ლიბერთი ბანკი LBRTGE22 ანგარიში GE19LB0610005336080620
ცენტრის დირექტორი აკაკი ნატროშვილი	დირექტორი ბიძინა პოპიაშვილი.
n(n)le sport and youth affairs centre of dedoplistskaro municipality Digitally signed by n(n)le sport and youth affairs centre of dedoplistskaro municipality Date: 2019.12.16 17:17:29 +04'00'	L.T.D. technoservice 1 Digitally signed by L.T.D. technoservice 1 Date: 2019.12.16 17:24:38 +04'00'